



N 21/3665
18/05/2023

3665-21-2-202305180951



საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3343 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჟონეთში მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ნაპირსამაგრი ქვანაყარი ბერმის საანგარიშო ქვის განმსაზღვრელ ფორმულაში ლოდის მოცულობით წონად აღებულია 2,65 ტ/მ³ მნიშვნელობა, რომლის მიხედვით, ქვის საანგარიშო დიამეტრი ტოლია 1,13 მ-ის. პროექტის გრაფიკულ ნაწილში კი ქვანაყარი ბერმის ამგები ლოდების მოცულობითი წონა შეადგენს 2,4 ტ/მ³-ს. აღსანიშნავია, რომ მოცულობითი წონის შემცირების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება საანგარიშო ქვის დიამეტრი და ნაგებობის მთლიანი მოცულობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- ნაპირსამაგრი ნაგებობის განივ კვეთებზე ქვანაყარი ბერმის ზომები და შესაბამისად მისი მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბერმის სიმაღლე იცვლება 4,0 მეტრიდან 5,3 მეტრამდე. მიუხედავად რელიეფის თავისებურებისა, აუცილებელია კვეთში დაცული იყოს საანგარიშო მოცულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპეციის ფორმის ბერმის გეომეტრიული ზომების შერჩევის დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კალაპოტის საანგარიშო სიღრმითი წარეცხვის დროს შენარჩუნებული უნდა იყოს ნაგებობის საერთო მდგრადობა და განსაკუთრებულად მისი თხემის საპროექტო ნიშნულები და მინიმალური სიგანე;
- ტექნიკური რეკომენდაციების მიხედვით, მინიმალური მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0,5 მეტრს, ხოლო წარეცხვაზე - 0,8 მეტრს. აღნიშნული სიდიდეები გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობის საანგარიშო პარამეტრების და მოცულობის დადგენის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

